„მუშათა გართავისუფლება—მუშათა საქმეა“

ახალი ნაკადი

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთ მაშვრალთა კავშირის ორგანო

ფასი 1 მან. 50კ.

№ 31 კვირა 22 ივნისი 1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ერთთხელ კვირაობით

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 1 მან.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დენ.

გამოვიდა და იყიდება

ბალაქტიონ ტაგიძის

ლექსთა მეორე წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია ავტორის ლექსები 1914—1919 წლამდი. წიგნი სუფთათ არის შედგენილი და ძვირფას ქალალდზე და ღირს 25 მანეთი.

დედა-ქალაქი, ივნისი 22 1919 წ.

იმპერიალისტების დაუსრულებელი თავხედობა.

გაზეთებმა გადმოგვცეს შინაარსი იმ დეპეშისა, რომელიც ინგლისელების გენერალს ლონდონის მთავრობის სახელით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის გადაუცია. ამ დეპეშებში გარკვეულია საზღვრების ის ხაზი, რომელსაც ერთის მხრივ არ უნდა გამოშორდეს დენიკინის ჯარი და მეორეს მხრივ არ უნდა გადალახონ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა. როგორც სჩანს, „ინგლისის დიპლომატია ჯერ კიდევ განაგრძობს ამიერ-კავკასიაში ჩვეულებრივი „საქმიანობის“ გაწევას. ვინც ისტორია ოდნავ მაინც იცის, იმას ისიც ეცოდინება, თუ როგორის გაიძვერობითა და ცბიერებით დაუხშო ინგლისმა მრავალ პატარა ერს თავისუფლება და „განათლებულის“ ზრდილობით მოახვია თავს დიდი ბრიტანეთის მეუფება. ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, და აბა როგორ მოიშორებდა თავიდან ინგლისის დიპლომატია თავის ჩვეულებას, რომელსაც თავისებური „ბრბყინვალე“ ისტორია აქვს,

ჩვენ გვესმის ფარული აზრი ხსენებული განკარგულებისა: დენიკინს სურდა ერთის დაკვრით დაემხო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა თავისუფლება, მაგრამ რაკი ამას ვერ ეწია, განიზრახა ზურგის უზრუნველყოფა. რომ მეტის თავხედობით შეუტიოს ბოლშევიკურ რუსეთს და თუ ბედმა არგუნა მოსკოვის აღება, შემდეგ კვლავ შემოსევა ამიერ-კავკასიაზე. მვენ გვგონია, რომ ეს მოსაზრება სწორედ ინგლისელებმაც კარგად იციან, თუ იგი თვით მათ მიერ არის ნაკარნახევი. ლაპარაკი არ უნდა, ინგლისი დღეს რეაქციის მხარეზეა და ჩვეულებრივის გაიძვერობით ცდილობს ლახვარი ჩასცეს ახლად ფეხადგმულ ჩვენ თავისუფლებას.

ეს კარგად უნდა გვახსოვდეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ბედილბალზე ვსაუბრობთ. დღეს ჩვენი იმედი მხოლოდ სოციალისტური ევროპაა, გამარჯვება ჩვენი თანამოძმეებისა და თანამებრძოლთა იქნება ჩვენი გამარჯვებაც, დამარცხებაც მათი, უეჭველია ჩვენც მძიმე ლოდად დაგვაწვება. და მაშინ, როდესაც ომში გამარჯვებულ დიდ სახელმწიფოებს გერმანიაში, ავსტრიაში, რუსეთში, ოსმალეთში და სხვაგან ისე აეწეწ-დაეწეწათ საქმეები, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია სადმე ვულკანის აღმოხეთქა, ჩვენ გვერდით გამაგრდება რევოლიუციის პოზიცია და უდიდესად შესუსტდება იმპერიალიტების მდგომარეობა. და ჩვენც მთელის არსებით უნდა ვიდგეთ რევოლიუციისა და თავისუფლების სადარაჯოზე.

———

ადამიანის გედნიერებისათვის

2.

ჩვენ დავინახეთ, თუ რამდენად გადაჭარბებულია ის აზრი, თითქოს დემოკრატიულ წესწყობილებას სავსებით შეეძლოს ადამიანის შინაგან ძალთა განვითარების რეალიზაცია.

თვალი რომ გადავავლოთ დიდ მოძრაობათა ისტორიას, ერთ რამეს გარკვეულად შევამჩნევთ; ბევრი სისხლი და უდიდესი ენერგია დახარჯულა, რომ ერთი სახელმწიფოებრივი ფორმა მეორეთი შეცვლილიყოს, მაგრამ არსებითად მსხვერპლი შედეგებს ვერ აუნაზღაურებია.

შეცვლილა ძველი ბიუროკრატიული რეჟიმი ოთხ წევრიან არჩევნებზე დამყარებულ დემოკრატიული წესწყობილებით; რასაკვირველია, უფრო თავისუფლად ამოუსუნთქავს მაშვრალ ხალხს, მინიჭებია მას სიტყვისა, კრებისა და შეიძლება ბრძოლის თავისუფლებაც, მაგრამ ნაცვლად ძველი ღმერთებისა ახალი ღმერთები მოვლინებია, ძველი ფეტიშების ადგილი ახალთ დაუჭერიათ, ძველი თვითმპყრობელნი არჩეული პირებს შეუცვლია და ადამიანის ეთიურ შემეცნებაში კვლავ ავტორიტეტი და მესვეურთაღმი გულუხვი „პატივისცემა“ გამეფებულა.

ჩვენ იმას არ ვამბობთ, თითქოს დემოკრატიულ წესწყობილებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს მშრომელთა განთავისუფლების საქმეში. სრულებითაც არა. ჩვენ მხოლოდ იმას აღვიარებთ, რომ თავისთავად დემოკრატიული წესწყობილება და დამყარებული კანონმდებლობა სრულიად უძლურია შეამზადოს ნიადაგი ადამიანის პიროვნების თავისუფლებისა. იგი ამყარებს, ასე ვსთქვათ, მხოლოდ უფრო ხელსაყრელ პირობებს, რომელშიაც მეტის კოორდინაციით და სიძლიერით შეიძლება მოწყობა იმ ენერგიისა, ძველ წესწყობილებას, დამპალ ტრადიციას და ხავსმოკიდებულ დამოკიდებულებათ რომ ბოლოს მოუღებს, ეს არის ღა ეს. მაგრამ ბევრი ასე არ უყურებს მას.

ბევრი დღემდის ვერ განთავისუფლებულა იმ ყალბი მოსაზრებისაგან, რომ გარეშე ძალას არასოდეს ძალუძს მოახდინოს დიდი გადატრიალება. იგი შედეგი იქნება მხოლოდ ორგანიზაციულად დარაზმული მუშათა კლასის შეგნებული მისწრაფებისა და ბრძოლისა. გარდა ამისა, უნდა გარკვეულად ვსთქვათ, რომ რაც უაღრესად დემოკრატიული არ უნდა იყოს რომელიმე სახელმწიფო, ნამდვილად იგი ბურჟუაზიულ საქმეს ემსახურება, ბურჟუაზიულ სულისკვეთებას უწყობს ხელს და ნაკლებად შეაქვს ის აუცილებელი შეგნება მშრომელთა რაზმებში, რომელიც უდიდესი ნებისყოფით უნდა იქნას შეჭურვილი და მთელის არსებით ბურჟუაზიული ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული.

საფრანგეთის მშრომელმა ხალხმა, რომლის წითელი ისტორია მრავალი ბუმბერაზი მოძრაობითაა დაფარული, ყველაზე ადრე შეიგნო და შეიმცნო, რომ კანონმდებლობის საშუალებით იგი დასახულ მაღალ მიზანს ვერ ეწევა. მან დიდი მსხვერპლი გაიღო ფეოდალურ არისტოკრატიასა და აბსოლიუტიზმთან ბრძოლაში, მან განიზრახა წესწყობილების შეცვლით გზა გაიწმინდა სოციალისტური შენებლობისათვის, მაგრამ იმედი არც თუ აგრე გაუმართლდა. ახალმა ჭკვიანმა, გაიძვერა და გამოქნილმა ბურჟუაზიამ თავისი არსებობისა და ბატონობის შესანარჩუნებლად ათასგვარ ხრიკსა და ხერხს მიმართა, რომ კვლავ დაეჯაჭვა მშრომელთა გონება და მისი გონებრივი და ნივთიერი ინტერესი ისევ განწირულ ქვეყანასთან დაეკავშირებია. ეს განსაკუთრებით ამერიკელ კაპიტალისტებზე უნდა ითქვას, რომელთაც მუშებიც კი ჩაითრიეს თავის ინტერესების მორევში და შეგნებულაო, ცბიერად დიდად დაახშვეს მათში კლასობრივი თვითშემეცნება და რევოლიუციური ენერგია, მაგრამ ამ „ლეტარგიისაგანაც“ თავს ითავისუფლებს ევროპის მშრომელი ხალხი და რევოლიუციის ხანაში იგი სულ სხვაგვარად შეიარაღებული და დარაზმული ეპირება ჩამოჭრას მაშვრალთათვის სასიხარულო ზარი, რომლის ხმაც ძლიერად მიმოიბნევა მსოფლიოს ზედაპირზე და მოაგონებს მუშათა კლასს, რომ უკვე დაიწყო შენება ახალის საზოგადოებრიობისა, ხოლო დღევანდელ ხელისუფალთ აი იგი ზარი სასიკვდილო ჰანგებად მოევლინებათ...

ამ მიზნითაა წარმოშობილი რევოლიუციური სინდიკატები, რომელთაც თავს უდვიათ შრომის ორგანიზაცია, მუშათა რევოლიუციურ ენერგიის სათანადო მიმართვა, შემზადება მომავალი თავისუფალი საზოგადოებისათვის და დაჭესება საერთაშორისო მაშვრალთა დიდი ოჯახისა, რომლის წინაშე საბრალო იქნება სხვისი ოფლით გასუქებულ ადამიანთა გზა აბნეული ხროვა.

ასეთი სინდიკატების დაარსებას ვესწრაფვით ჩვენც საქართველოში. და გვრწამს რომ შესაფერ გამოძახილს ვიპოვით იმათ წრეში, ვისაც მართლაც შეუძლიან თავგანწირული სამსახური მომავალი თავისუფალი საზოგადოებრიობის—კომუნიზმის დამყარებისათვის...

ანაბაბტისტი.

———

პოლიტიკური პარაზიტები

II

პოლიტიკურ ჰორიზონტზე კვლავ გამოურკვევლობის ბურუსი მეფობს. არც ერთმა საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწემ არ იცის თუ რა იქნება ხვალ. გვექნება მშვიდობიანი მოქალაქობრივი ცხოვრება თუ აბჯარ ასხმული საომრად უნდა ვემზადებოდეთ. დენიკინის მიერ დაწყებული სამხედრო ავანტიურა ახალ პრობლემებს უყენებს საქართველოს მთავრობას და საზოგადოებრივ წრეებს. და ასეთ დაუდგრომლობაში დღე დღეს მისდევს და თვე თვეს. ასეთ პირობებში ძლიერ ძნელია სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში რაიმე დადებითი მუშაობის წარმოება. შემოქმედებითი უნარიც შეჩერებულია. ამიტომაც არის რომ საქართველოში ყოველგვარ მუშაობას დამფუძნებელ კრებიდან დაწყებული სულ პატარა ორგანიზაციამდე პირადული, ჯგუფური ან პარტიული ხასიათი აქვს. ყველა თავის საქმეს ახერხებს. ყველა პირადათ ეწყობა და რა მოუვა ერს, საზოგადოებას, კლას ამაზე არავინ ფიქრობს.

ასეთი მდგომარეობა ნაწილობრივ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარების ბრალია. სამშვიდობო კონფერენცია, რომელსაც მშვიდობა უნდა მოეტანა ომით განადგურებულ ევროპისთვის, დღემდის ვერ გამოუძებნია ქვეყნის დასამშვიდებელი თილისმა. კონფერენციაზე იმთავითვე ინტერესთა წინააღმდეგობამ იჩინა თავი და ეს წითელი ზოლივით გაჰყვა მთელს მის მუშაობას. ბურუსით მოცული, გამოურკვევლობის მორევში ჩავარდნილი პარიჟის კონფერენცია ასეთსავე გავლენას ახდენს სხვა ქვეყნების თუ ერების პოლიტიკურ ცხოვრებაზე, და ამით აიხსნება ის მერყეობა, პოლიტიკური გამოუცნობლობა, რომელიც დღეს ყველას ახასიათებს.

პოლიტიკურ ცხოვრების ასეთ ბნელითმოცულობაში ჩვენთვის ერთი ცხადია. ის საზოგადოებრივი წრეები, რომლებიც სახელმწიფოებრივ ცხოვრებას განაგებდნენ, ის მეთოდები, რომლათაც იგინი ქვეყნიერობას მართავდენ უკვე მოძველდნენ. ცხოვრებამ სულ ახალი მოთხოვნილებანი წამოაყენა, სამოქმედოთ ახალ-ახალი კლასები გამოდიან და პოლიტიკურმა საქმიანობამაც ახალი სახე უნდა მიიღოს. კაპიტალისტურმა წრეებმა, ბურჟუაზიულმა ელემენტებმა ხელი უნდა აიღონ ქვეყნის ბატონ-პატრონობაზე და მათი აწეწილი საქმე უნდა მოაგვაროს და კალაპოტში ჩააყენოს იმ კლასმა, რომელსაც მომავალი ეკუთვნის. ამის სიმპტომები უკვე სჩანს ევროპაში. კლემანსო, ვილსო-

ნი. ჯორჯი და სხვანი „ნაშთნი სიძველისანი“ წინააღმდეგობათა ქსელში გაბმულნი დდითი დღე რწმუნდებიან, რომ თავიანთი მისია შესრულებული აქვთ, რომ იგინი საქმიანობიდან უნდა გადადგნენ და მოქმედების ასპარეზი დაუთმონ მშრომელ მასას, მუშათა კლასს, რომელმაც უნდა ჩაუყაროს საძირკველი ახალ ცხოვრებას, ახალ ხანას ისტორიაში. ვინც შეებრძოლება ამ ახალ მიმდინარეობას, ვინც შეაფერხებს მის ძლევამოსილ მსვლელობას იგი გამოუსყიდელ ცოდვას იდებს ისტორიის და პროგრესის წინაშე, იგი კაცობრიობის მტრად და პოლიტიკურ პარაზიტად გვეჩვენება. სამწუხაროდ ამ როლში ევროპაში გამდის ის საფრანგეთი, რომელსაც რევოლიუციის ავანგარდის სახელი აქვს მინიჭებული ისტორიის მიერ. დღეს საფრანგეთის დედა-ქალაქში სურთ გამოსჭედონ ის რგოლები, რომლითაც ბურჟუაზიას სურს კვლავ თავის დაზგაზე მიაბას მშრომელი მასა. როგორც ამ ასი წლის წინ ვენის კონგრესზე მონარქისტულმა წრეებმა განამტიცეს თავისი მომავალი მოქმედება ისე ბურჟუაზიის იდეოლოგებს სურთ ეხლა თავისი გეგემონიის განმტიცება. მაგრამ რაც დღე გაღის, იმდენი პოლიტიკური ხლართი იკვანძება და ისე დიდდება რომ მის გახსნას ვილსონის ზარბაზნები ველარ შესძლებენ. ამავე დროს თანდათან მეღავნდება ის სამარცხვინო როლი, რომელსაც „რევოლიუციონური“ საფრანგეთი კისრულობს, აშკარავდება მტრობა პროლეტარულ წრეების მიმართ. თუმც ეს ნაადრევად გამორწყავს მუწუკს და ღაანახვებს ყველას რომ ოდესღაც სახელოვან საფრანგეთს შემოქმედების უნარი დაეშრიტა, რომ იგი ქვეყნიერობას ველარაფერს შესძენს, რომ იგი ისტორიის ხელის შემშლელად გამოდის და რომ დანდისთან ნათლად სდგება ყველას წინაშე საკითხი საფრანგეთის ლიკვიდაციის საჭიროებისა, მათი მოსპობისა და განადგურებისა, როგორც კაცობრიობისათვის მავნე პარაზიტებისა.

დასავლეთ ევროპის მაგვარი ანალოგიური სურათი აღმოსავლეთშიაც ხდება. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ახალი სახე მისცა აღმოსავლეთ ევროპის და აზიის პოლიტიკურ ცხოვრებას. დამონებული ერები აღმოსავლეთში თავისუფლდებიან და ახალ ცხოვრებას იწყობენ. თვით რუსეთი წინამღვრობს და მოქმედების ახალ-ახალ ტონებს იძლევა. ცდა მიმართული ეკონომიურ და სოციალურ გათანასწორებისაკენ მაგალითად დაედება სხვა ერების პოლიტიკურ მოქმედებასაც. მუშათა მოძრაობა, სოციალური რეფორმები, რომელიც ხდება რუსეთში და ნაწილობრივ ამიერ-კავძასიის ერებშიაც საუკეთესო მომავლის მახარობელია. ერთი სიტყვით ევროპას აზიატებმა ახალი სიტყვა უნდა უთხრან.

სამწუხაროდ აღმოსავლეთშიაც კაცობრიობის მტრებმა, ისტორიულ პროგრესის შემაფერხებელმა და პოლიტიკურმა პარაზიტებმა იჩინეს თავი. დენიკინის მიერ დაწყებული სამხედრო ავანტიურა ეს არ არის მხოლოდ რომელიმე ერის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო მოქმედება, ეს არის მთელ კაცობრიობასთან ბრძოლა, ბრძოლა პროგრესის და თანასწორობის წინააღმდეგ. რამდენად დენიკინს სურს შეატრიალოს ცხოვრების ჩარხი უკუღმა და ცხოვრების ის პირობები დააბრუნოს, რომელიც იყო, გადვიდა და აღარ იქნება იმდენად ის კაცობრიობის მტერია და მავნე პარაზიტი.

სწორეთ ეს იყო მიზეზი იმისი, რომ დენიკინის მოსპობის და მის ავანტიურის განადგურების საკითხი ასე ნათლად დადგა ყველას წინაშე, რომ ამ საკითხის გარშემო ერთნაირად დაირაზმა ყველა ვისაც მშრომელთა ბედი, კაცობრიობის კეთილდღეობა და ბედნიერი მომავალი აინტერესებს.

სამწუხაროდ ამიერ-კავკასიის ერებს შორის, დენიკინთან უსინდისოთ, მღერა სომხებმაც დაიწყეს. სომხის ერის ხელმძღვანელთა პოლიტიკა უკანასკნელ ათეულ წლებში კაცობრიობის სამტროდ იყო მიმართული.

რეაქციონერობა, ინტრიგა, ბიუროკრატობა, შური და მტრობა მუდამ ახასიათებდა ამ ერის მოწინავე ელემენტებს. ახლაც იგინი თავისუფლებისთვის მებრძოლთ ზურგს უბრუნებენ და შავი რეაქციის კალთის ქვეშ იბუდებიან. ეს ერთის მხრივ იმის მაჩვენებელია, რომ ამ ერს აღარავითარი ისტორიული დანიშნულება არა აქვთ, რომ იგინი კაცობრიობას ველარაფერს შესძენენ და მხოლოდ მავნე პარაზიტებად გადიქცევიან.

ამ შემთხვევაში კი ბედი ერთია. ისტორია წამოაყენებს მათი ლიკვიდაციის და სრული განადგურების საკითხს კაცობრიობის დეზინფექციისთვის და დეზინსექციისთვის, რაც უნდა შეასრულოს არა მარტო რუსეთის არამედ მთელი ევროპის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა.

როლანდი.

საქართველას რევოლიუც. სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირის პროექტის ზოგადი დებულებანი. *)

1. საერთო მოსაზრებანი.

ა) **ყოველი არსება ცხოვრობს და ესწრაფვის ცხოვრებას.**

ბ) **ყოველი არსება ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები ენერგიით რაც შეიძლება მეტი სიკეთე მოიპოვოს.**

ეს დებულებანი ცხოვრების საერთო კანონია. ადამიანი იძულებულია

*) ყველა ორგანიზაციას ევალება ამ პროექტის გაცნობა. **საპ. კომ.**

კანონი მიწის შესახებ ხალხს მოეწონა და ამიტომაც მივიღეთ ამდენი ხმაო. ასეთი განცხადება დიდი კადნიერება და თავ-აშვებულებაა. მართლაც, ასეთი განცხადება ბავშის, უფრო კი ველური ადამიანის ლოღიკის შესაფერია, რადგან ერთიც და მეორეც ყოველთვის ისე ფიქრობს, რომ post hos proptez hoc არისო. მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ეს ლოღიკა მხოლოდ უსუსურთა და სუბუქი ჭკუის პატრონთა ლოღიკაა. აბა გეცადათ და ცალკე ყუთი დაგედგათ არა თვის თავისთვის. არა პირადობისთვის, არამედ სწორისა და გადაჭრილი კითხვისთვის. ვის უნდა უფასოთ ჩამორთმეული მიწა უსასყიდლოთ და ვის არა-თქო. მაშინ თავის თვალით იხილავდით, რომ ის ოთხასი ათასი ხმა, რომელიც თქვენ ჩაიჩხრიალეთ, გადაჭრით გეტყოდათ, რომ მიწა უსასყიდლოთ გვინდაო.

მაგრამ ეს არაფერია. არაფერია იმიტომ, რომ ეს აღნიშნავს ღირსებასა და ნაკლულევანებას პარტიისას, პირადობისას. ამიტომ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. გარდა ამისა ესე ყოველი ერთგვარი ფანდია, ერთგვარი პოლიტიკური თაღლითობაა და ხომ მოგეხსენებათ—ჩვენ კი ეს მტკიცეთ ვიცით, რომ პოლიტიკანობაში ჩათრეული ყოველი პარტია ასეთ თაღლითობას ყოველთვის ჩადის. არ თაკილობს.

საშინლება ის არის, რომ ჩვენს ხალხს ამ კანონით დიდი უბედურება მოელის.

ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს ხალხი სტიქიურად დაეპატრონა მიწა-წყალს შეუწყვეტლივ ებრძოლოს გარემოს, რადგან მხოლოდ მისგან შეიძლება მოპოება იმ ელემენტებისა, რომლებიც მას საშუალებას აძლევენ, თავის მიზანს მიაღწიოს. ცხოვრებისათვის ამ ბრძოლაში ადამიანი პლაქტიკულად რწმუნდება, რომ საზოგადოება უკეთესი და უძლიერესი სახსარია ბრძოლაში თავდაცვისა და ბრძოლით მოპოებულ შედეგების განმტკიცებისა.

პირველად ადამიანის მისწრაფება საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი შეუგნებელი. ანუ ინსტიქტური იყო და უმთავრესად გვარის დაცვისაგან გამომდინარეობდა. მაგრამ შემდეგში ცდისა, დაკვირვებისა და გამოცდილების მეოხებით ადამიანმა შესძლო საზოგადოებრივი ცხოვრების დაფასება და მაშინ საზოგადოებრიობა მუდმივ ინსტიქტად—გადაიქცა.

ამ დროიდან საზოგადოებრიობა ადამიანის განვითარების უძლიერეს ფაქტორად შეიქნა, ვინაიდან მასში განხორციელდა ადამიანის გონებრივი და ნივთიერი განვითარების პირობები — თანამშრომლობა ძალთა, ენერგიათა, ჭკუისა და გამოცდილებისა. ამ თანამშრომლობის წყალობით განვითარდა ტექნიკა, ანუ საწარმოო იარაღები.

ტექნიკის განვითარებაში აშკარავდება ზევით ხსენებული საყოველთაო კანონი: რაც შეიძლება ნაკლები შრომით, რაც შეიძლება მეტი სიკეთის მოპოება.

პირველ ყოფილ კომუნიზმის ხანაში საზოგადოებრიობის პრინციპები მეფობდნენ და საზოგადოება კლასებად არ იყო დაყოფილი. მაგრამ ვინაიდან მაშინ თვით კომუნიზმიც ვერ წარმოადგენდა ცხოვრების უზრუნველყოფის საკმაო გარანტიას და ამავე დროს კი სოციალურ წრეში ისე, როგორც მთელ სამყაროში შემადგენელ ელემენტთა განვითარება თანაბრად არ სწარმოებს, ამიტომ მოხდა კონფლიქტი არა თანაბრად განვითარებულ ჯგუფთა და პიროვნებათა შორის ცხოვრების უკეთესი პირობათა მოპოების ნიადაგზე და კომუნიზმიც დაირღვა. მის ადგილზე აღმოცენდა კერძო საკუთრება; თავი იჩინა ექსპლოატაციამ, დამონებამ და ჩაგვრამ და საზოგადოება მრავალ ულესასუფლოდ ოაიყო.

გარემოსთან უკედ შეგუებული, მახვილი გონების მქონე და ძლიერი ცდილობდა სუსტის დამონებას და მის ექსპლოატაციით საკუთარი ცხოვრების უკედ მოწყობას. ამ შემთხვევაშიაც ძლიერს, დამჩაგვრელს, ამოქმედებდა იგივე პრინციპი—მინიმუმი ენერგიით მაქსიმუმ სიკეთის მოპოებისა, თუმცა ეს პრინციპი მან უდიდეს ეგოისტურად განახორციელა, მაგრამ მაშინდელი ვიწრო გონებრივი განვითარების ადამიანს თავისი უზრუნველყოფისათვის სხვა სახსარი ვერ გამოენახა. მან ისარგებლა სხვა პიროვნებათა სისუსტით და გახადა იგინი თავისი მიზნების მისახწევა იარაღად.

თუმცა პიროვნება ბუნებით ბოროტი არ იყო, პირიქით იგი დიდად აფასებდა საზოგადოებრიობას და ცხოვრებაში თანამშრომშრომლობას, მაგრამ მის გარშემო შექმნილმა რთულმა ობიექტიურმა პირობებმა ბუნებამ მისი არსებითად დაამახინჯა, რის გამოც მან მიმართა ისეთ სახსარს, რომელმაც საზოგადოებრიობა დაარღვია.

წარმოშობილმა ნივთიერმა უთანასწორობამ მუდმივი ხასიათი მიიღო და ეკონომიურად უთანასწოროთა შორის საშინელი ბრძოლა გამოიწვია. ამ ბრძოლაში ჩამოყალიბდნენ საზოგადოებრივი კლასები განსაზღვრული ნივთიერი ინტერესებით. დაიწყო ისტორიის ახალი ხანა, რომელიც კლასთა არსებობით და მათ შორის ბრძოლით ხასიათდება. ამ კლასთა შორის ზოგი იბრძვის თავის უპირატესობათა დასაცავად, ზოგიც მის მოსპობისა და ბატონობის ბოროტებისაგან თავის დაღწევისა.

ეს ბრძოლა ბუნებრივ ფენომენია. ეს ბრძოლა ბუნებრივ ფენომენია, ეს ბრძოლა ბუნებრივ ფენომენია, ეს ბრძოლა ბუნებრივ ფენომენია,

საპოებლად და ზოგიც ცხოვრების უფლებისა და ნორმალურ პირობათა მოსახვეჭად...

თავდაპირველად კლასთა შორის ბრძოლას სტიქიური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ამ ბრძოლაში თანდათანობით იქმნება კლასობრივი თვითშეგნება, რომელიც შემდეგში კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელი ხდება. ამ ბრძოლაში დაჩაგრულნი ისწრაფვიან, აღადგინონ დარღვეული საზოგადოებრივი ექვილიბრიუმი, დაამკვიდრონ კომუნიზმი.

კლასთაშორის ბრძოლის მწვავე ხასიათი ამყარებს იმდენად დაუდეგარ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათ. რომ შეუძლებლად ხდის ნორმალურ განვითარებას. ასეთი მოვლენა საზოგადოებას სრულ სიკვდილს უქადის, რაც არა ერთხელ მომხდარა ისტორიაში. თუ იგი სულ სხვა ნიადაგზე არ იქნა აგებული, არ დამყარდა საზოგადოებრივი ექვილიბრიუმი კომუნიზმის სახით.

გაბატონებული კლასები ძალით ამყარებენ დროებით საზოგადოებრივ ექვილიბრიუმს თავის სასარგებლოდ, მაგრამ ბრძოლა გრძელდება, დაჩაგრული კლასები ცდილობენ დამყარებული ექვილიბრიუმის დარღვევას და მის აღდგენას, თავის სასარგებლოდ. ყოველი დროებითი ექვილიბრიუმის ამგვარ დარღვევასა და აღდგენას უდრის რაიმე საზოგადოებრივი მოძრაობა ან ცვლილება.

გაბატონებული კლასები, რაკი ხედავენ, რომ მათ წინააღმდეგ მუდმივ იბრძვიან მათგან დაჩაგრული კლასები, ჰქმნიან სავალდებულო ნორმებს, რომელიც კლასთა შორის არსებულ ურთიერთობას აკანონებს. ამ ნორმების დაცვა და ცხოვრებაში გატარება ვალად ადევს სახელმწიფოს, ამგვარად კანონი და სახელმწიფო არსდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებაში თავს იჩენენ კლასები და იწყება კლასთა შორის ბრძოლა.

მაშასადამე, თუ უფლება და სახელმწიფო ყოველთვის და ყოველგან აუცილებელი საჭიროებაა იმ საზოგადოებისათვის, სადაც ქონებრივი უთანასწორობა სუფევს, ამიტომ ისინი მუდამ კლასობრივ დაწესებულებას წარმოადგენენ. ამისათვის დაჩაგრულ კლასების გაბატონებულ კლასთა წინააღმდეგ ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლა არის ამავე დროს ბრძოლა არსებული უფლებრივი სისტემისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ—ყოველი დარღვევა დროებითი საზოგადოებრივი ექვილიბრიუმისა, რომელიც ერთი რომელიმე კლასის ინტერესების თანახმად არსებობდა. და მის ადგილზე კვლავ დროებითი საზოგადოებრივ ექვილიბრიუმის აღდგენას, რომელიმე მეორე კლასის ინტერესების სასარგებლოდ, არის პოლიტიკური და კლასობრივი რევოლიუცია. ხოლო დარღვევა დროებითი ექვილიბრიუმისა, რომელიც არსებობდა რომელიმე კლასის ინტერესების თანახმად და მისი ნებრევებზე დამყარება სრული საზოგაოებრიობის, ე. ი. კომუნიზმისა და თავისუფლებისა არის სოციალური რევოლიუცია. *)

მომავალი თავისუფალი საზოგადოება წარმოიშვის არა ეკონომიური ძალთა სტიქიური განვითარებით, რასაკვირველია, არც კანონმდებლობის საშუალებით.

ეს დიდი გარდაქმნა ნაყოფი იქნება მხოლოდ სოციალური რევოლიუციისა. შრომის ტყვეობიდან დახსნა ამიტომ არსებითად შეკავშირებულ მუშათა მიერ უნდა წარმოებდეს. ხოლო დიდი ტრანსფორმაცია მოხდება არა მარტო დროის მიხედვით, არამედ ადამიანთა შეგნებული ცდა, ბრძოლისა და მისწრაფების ზედგავლენით.

რომ ცხოვრების ძველი ფორმა ძირიანფესვიანად მოისპოს, აუცილებლად საჭიროა ამ თავითვე შემზადებულ იქნას ელემენტები ახალი თავისუფალი ცხოვრებისა.

მომაკვდავი ბურჟუაზიული ქვეყნის გულშივე უნდა ჩაისახოს ახალი ორგანიზაცია წარმოებისა, ახალ საზოგადოებრივ დამოკიდებულებასა და საკუთრების ახალ ფორმაზე დამყარებული. ასეთი ორგანიზაციებია სოფლისა და ქალაქის მუშათა ამხანაგობანი—სინდიკატები.

სინდიკატები თანამედროვე საზოგადოებაში მომავალი წესწყობილების ჩანასახებს წარმოადგენენ, შრომის თავისუფალი ასოციაციის „იაჩეიკების“ განსახიერება არიან. რაც უფრო მალე შეითვისებს მშრომელი ხალხი რევოლიუციონურ სინდიკალიზმის დედა-აზრს. გაინთავისუფლებს თავს მეშჩანურ-უტოპიურ იდეალისაგან და გარეშე შემრიგებელ კავშირთა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ პირდაპირ ბრძოლაზე გადავა, მით უფრო მოახლოებულ იქნება სასურველი საზოგადოებრივი ექვილიბრიუმის, თავისუფალი კომუნიზმის დამკვიდრება.

რადგანაც საზოგადოებრივი ექვილიუბრიმის ბრძოლით დამკვიდრება რომელიმე კლასის ინტერესების მიხედვით არსებითად მხოლოდ პოლიტიკური და კლასობრივი რევოლიუციაა და ვერ სწყვეტს იმ წყეულ საკითხს, რომელიც კლასთა შორის ბრძოლასთანაა დაკავშირებული და რომელიც სიკვდილს უქადის თანამედროვე საზოგადოებას და მის კულტურას, ამიტომ რევოლიუციურ სინდიკატებს მოვალეობად აქვს დაკისრებული, რომ სახელმწიფოსა და საერთოდ კანონმდებლობის გარეშე ხელი შეუწყონ ისეთი მოძრაობის გაძლიერებას, რომელიც მიზნად დაისახავს არა ძალა-უფლების განსაზღვრულ კლასის მიერ ხელში ჩაგდებას, არამედ ისეთი საზოგადოებრივი ექვილიბრიუმის დამყარებას, რომელშიაც ხორცს შეისხამს თავისუფალ კომუნათა თავისუფალი კავშირის იდეა.

ამ მისიის შესრულება შეუძლია მხოლოდ რევოლიუციონურ მუშათა სინდიკატებს. მათ გარეშე დიდი ტრანსფორმაცია წარმოუდგენელია. ძალაუფლებისათვის ბრძოლაში პოლიტიკურ-სოციალისტური პარტიები სავსებით ივიწყებენ მომავალი საზოგადოების ინტერესებს და ხშირად უმიზნო ხოცვა-ჟლეტაში ეძიებენ სოციალისტური წესწყობილების განხორციელებას.

რევოლიუციონური სინდიკალიზმი სხვა გზით წაიყვანს კაცობრიობის იმ ნაწილს, ვისაც ისტორიამ უდიდესი მისია მიუსაჯა და ეს გზა წმინდა რევოლიუციონური, დიდ შემოქმედებასთან დაკავშირებული, საბოლოოდ გასწმენდს ცხოვრებას ყოველგვარ სიბინძურისგან და კაცობრიობას დაუმკვიდრებს ჭეშმარიტ საზოგადოებრივ ექვილიბრიუმს.

(დასასრული იქნება)

დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია.

(გაგრძელება იხ. „ახ. ნაკ.“ № 27)

უკვე 1848 წლის ნოემბერში ბ. ფონმაინტელმა ძალით გარეკა საერო კრება და ბერლინის ქუჩებში ზარბაზნები გადმოაყუდა, იარაღი აჰყარა ხალხს და ძალა-უფლებას დაეპატრონა მეფის სახელით. ეხლა მეფეს და მის გარშემო თავმოყრილ რეაქციონურ ელემენტებს საშუალება მიეცათ თავისუფლათ ემოქმედათ, რადგან ძალთა განწყობილება უკვე თავის სასარგებლოდ შესცვალეს. მაგრამ ეს ცვლილება არც ისეთი რღმა იყო საზოგადოების შუაგულში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ძველი აბსოლიუტიზმის აღდგენა. ამიტომ მან გამოსცა შეკვეცილი კონსტიტუცია, ცენზიანი საარჩევნო უფლებით და სხვა. მოინადირა ბურჟუაზია, შეძლებული კლასი საზოგადოებისა და ბატონობის პოზიცია გაიმაგრა. თქვენ იცით, თუ რა ძვირად დაუჯდა პრუსსიის დემოკრატიას. მას შემდეგ დღემდის სწარმოებდა იქ ბრძოლ საოვველთაო საარჩევნო უფლებისათვის და დემოკრატიულ რეფორმებისათვას, რომელსაც განხორციელება მხოლოდ ახლანდელი რევოლიუციით თუ ეღირსა. ერთი შემცდარი ნაბიჯი მაშინ საკმარისი შეიქნა იმისთვის, რომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში პრუსსიის ხალხი იუნკრების მძისე უღლის ქვეშ დარჩენილიყვნენ.

ეს მაგალითი სრულიად საკმარისია ჩვენი გაფრთხილებისათვის.

მართალია, ჩვენი რესპუბლიკის სვებედი სოციალისტების ხელშია დღეს, მაგრამ მაინც ვერ დავწყნარდებით მანამდის, სანამ ხელთ არ გვექნება ნამდვილი გარანტიები ჩვენი უფლებისა და დემოკრატიული წყობილებისა, რათა შეუძლებელი გახდეს ჩვენი ყოფა ცხოვრების ხალხის საზიანოდ შეცვლა იმისდა მიუხედავად, თუ ვინ მოექცევა დროებით ცენტრში სოციალ-დემოკრატია თუ ეროვნული-დემოკრატია.

მეორეს მხრით ნუ დაგვავიწყდება. რომ ცხოვრება ყოველ საათობით ვითარდება და განწყობილებანი საზოგადოებაში იცვლება. ნამდვილი დემოკრატიული წყობილების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ცვლილებათა მიხედვით ყოველთვის შეიძლებოდეს სახელმწიფო წყობილების შეცვლა თანახმად უმრავლესობის სურვილისა, რომ უმრავლესობისათვის აღარ იქნეს საჭირო იარაღი და აჯანყება სასურველი ცვლილების მოსახდენათ.

ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ფაქტიურად ძალა-უფლება რესპუბლიკაში ხალხის ხელში იქნება და მთავრობის ორგანოებს საშუალება არ ექნებათ წინააღმდეგობა გაუწიონ ხალხის ნებასურვილს.

ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული გზით, განსაზღვრული საშუალებით, რომელიც უნდა საფუძვლად დაედვას ჩვენს კონსტიტუციას.

ამ გაფრთხილების შემდეგ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ჩვენი კონსტიტუციის სასურველ შინაარსზე და შევეცადოთ მის გამორკვევას.

საუკეთესო საშუალება ასეთი მსჯელობისათვის არის ცოცხალი მაგალითების შესწავლა და და ამისათვის უნდა ვიხმაროთ მეთოდი კვლევაძიებისა, რომელიც უტყუარ მეცნიერულ დასკვნამდის მიგვიყანს.

შედარების მაგალითად ჩვენ უნდა ავიღოთ ფორმა ნამდვილი დემოკრატიული წყობილებისა, სადაც ხალხის ნება, მისი სუვერენობა სრულიად დაცულია და უზრუნველყოფილი.

ასეთ ფორმად ჩვენ უნდა მივიჩნიოთ პირველყოფილი საგვარეულო წყობილება, ხოლო უნდა შევიტანოთ შიგ ზოგიერთი შესწორებანი თანამედროვე განვითარებისა და ცოდნის მიხედვით.

რაკი ჩვენი მიზანია უზრუნველყოთ ხალხის ბატონობა სახელმწიფოს მართმა-გამგეობაში, ამას ჩვენ ვერ მოვახერხებთ, თუ არ დაუხლოვდით პირველყოფილ კომუნისტურ წყობილებას, რადგან გარეშე მისა, როგორც არ უნდა მოაწყოთ სახელმწიფო, იგი მოწყვეტილი იქნება ხალხზე მის ნებაზე და რაღაცა განსაკუთრებულ ზედნაშენათ შეიქმნება.

ჩვენ ვიცით ლექციის პირველი ნაწილიდან, რომ ნამდვილი დემოკრატიული წყობილება მხოლოდ პირველყოფილ დედამთავრულ კომუნაში იყო და სწორეთ იგი უნდა შეადგენდეს ჭეშმარიტი დემოკრატიის მისწრაფების საგანს.

ჩვენი მიზანია რაც შეიძლება დავუახლოვდეთ ამ წყობილებას და ხელი შევუწყოთ ადამიანთა ბუნებრივ სწრაფვას საბოლოოდ განთავისუფლებისათვის და ქვეყნად თანასწორობის დამყარებისათვის.

როგორც წარსულში ისე ეხლაც ჩვენა გვაქვი შაგალითები იმგვარი რესპუბლიკებისა, რომელნიც თავისი წყობილებით რამოდენიმეთ უახლოვდებიან ჩვენგან დასახულ იდეალს და ჩვენც სწორედ ესენი უნდა ვიხმაროთ მაგალითად ამ საკითხის შესასწავლად.

ასეთი სამაგალითო წყობილების დემოკრატიული რესპუბლიკა იყო ძველად ათინის რესპუბლიკა, ხოლო ჩვენს დროში არის შვეიცარიის ფედერატიული რესპუბლიკა.

რას წარმოადგენდა ათინის სახელმწიფო?

კლისთენის რეფორმებით ათინის რესპუბლიკამ დაჰკარგა არისტოკრატიული ხასიათი და საბოლოოდ მიიღო სახე ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოსი.

მთელი რესპუბლიკა დაყოფილი იყო „დემებათ“, რაიც უდრის ჩვენებურ თემს, რომელთა რიცხვი იყო, გადმოცემით, ასამდის.

დემი წარმოადგენდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ-ადმინისტრატიულ ერთეულს, რომლის ცენტრი იყო

არის, რომ ამ კანონით დღესვე იყვლიფება უმრავლესობა მშრომელი ხალხისა, იმ ხალხისა, რომელიც მხოლოდ თვისი გამრჯელი მარჯვენით ცოცხლობს. ჩვენ ხომ ვიცით, რომ სოც.-დემოკრატია დიდი დიალექტიკა. ამიტომ იგი, როგორც ამისთანა, თამამათ ამბობს, რომ გლეხობამ ამ ჟამათ უძრავ ფულს მოუყარა თავი და აღარ იცის, რა უყოს ამ ფულსაო, ამიტომ მას უნდა დავეხმაროთ და ვეცადოთ, რომ ეს ამდენი ფული არ გაუფუჭდეს, თაგვებმა არ გამოუხრასო. ამიტომ ერთად-ერთი გზაა, ეს ფული ჩამოვართვათო: ამით ხაზინას, რომელშიც დღეს თაგვები დათარეშობენ, ფულით გამოვავსებთ. ჩვენ კი „მარილნი სოფლისანი“ დროზე ჯამაგირებს. ყოველი თვის ოც რიცხვში მივიღებთ; ამით ჩვენც კმაყოფილი ვიქნებით და მშრომელი ხალხიც, რადგან ამ უკანასკნელს, საცოდავსა და საბრალოს, ფული აღარ გაუფუჭდება. სამაგიეროთ ეს მშრომელი ხალხი ხომ მიწას მიიღებს საკუთრებათო. განვიხილოთ ეს მოხერხებული, მაგრამ მაინც ცბიერი განცხადება ჯერ მხოლოდ ფორმალური მხრით.

თუ კი მიწა კერძო საკუთრებათ უნდა გადაეცეს მშრომელ ხალხს, ისიც ნასყიდობის სახით, მაშინ ცხადია, რომ მიწის კერძო საკუთრება პრინციპია, საფუძველია სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და არსებობისა, ეს ხომ ძირითადი დებულებაა კონსტიტუციისა. თუ ეს პრინციპი აღსარებული ასე ცხადათ და აშკარათ, მაშინ ლოღიკა სადღაც არის გაპარული, ან გაწკეპილი, რადგან ამ პრინციპის აღსარებელია რა ლოღიკით-ღა შეუძლია, მიწა ერთ მოქალაქეს უფასოთ, გამოუსყიდველათ ჩამოართვას და მეორე მოქალაქეს კი ფასათ მიჰყიდოს. ეს საქციელი ლოღიკის უარისყოფაა, გონიერი არსების მოსაზრების გაწკეპლვაა. უფრო მეტიც ეს მართლაც რომ ყაჩაღობაა, რადგან აქ ერთიც, უწინდელი მეპატრონეც, და მეორეც, მიწის ახლა მყიდველიც, იყვლიფება, იძარცვება. მერე იცით კი, ვის სასარგებლოთ?—მმართველი და გაბატონებული პარტიის სასარგებლოთ, ამ პარტიის წევრთათვის ჯამაგირების დასარიგებლათ. ლოღიკა ადამიანისა, საღი გონების პატრონისა ასეთია: თუ მიწას მიწათ-მფლობელს ჩამოართმევ, ამას იმიტომ შვრები, რომ მიწა მშრომელ ხალხს ესაჭიროება სამუშევრათ, საცხოვრებლათ, რომ თვითაც იცოცხლოს და გაჯან-საღებული ერიც აცოცხლოს. ამიტომ აქ ორი გამოსავალი-ღაა: მიწა უნდა ჩამოერთვას უმცირესობას, ვის ხელშიც ისტორიულმა უსამართლობამ ამ მიწას თავი მოუყარა და შეაგროვა და ვინც ამ მიწას არ ამუშავებს, და გადასცეს ეს მიწა მშრომელ ხალხს; მაგრამ თუ კი პირველს ჩამოართმევ მიწას და მეორეს კი იმავე მიწას კერძო საკუთრებათ მიჰყიდი, მაშინ უეჭველია—ლოღიკა ამას გვავალებს,—პირველს მეორისაგან აღებული ფული უნდა გადასცე- სხვაგვარი მსჯელობა შეუძლებელია. ხოლო თუ ერისთვის, საზოგადოებისთვის და მთლათ სახელმწიფოსთვის სასარგებლო და საპრიანია. რომ მიწა მშრომელ ხალხს უნდა გადაეცეს და ექნეს კიდეც, მაშინ ეს გარემოება თავის თავათ გულისხმობს, რადგან ამასვე მოითხოვს გონიერი არსების ლოღიკა, რომ ამ მშრომელ ხალხს, თუ კი მას ორიოდე გროში მოეპოვება, ეს ფული უნდა დარჩეს, რადგან მშრომელმა ხალხმა ამ გროშებით მიწის სასარგებლოთ უნდა ინვენტარი—სულდგმული და უსულო შეიძინოს რომ მიწას შესაძლებელი ნაყოფი გამოაღებინოს. მიწას ხომ თხუნველივით, მუდუსავით ფრჩხილებით ვერ აჩუჩქნის?! რომ აჩუჩქნოს კიდეც—თქვენ -მის შებრალება როდი გაქვთ—ეს ხომ სახეირო მაინც არ იქნება არც მშრომელისთვის, არც სახელმწიფოსთვის და არც ერისთვის, რადგან ამ შემთხვევაში მშრომელიც დაიმშევა და სახელმწიფოც. ეს კი ერს არა თუ გაანჯანსაღებს, გადაგვარების გზას დააყენებს. ასეთია ლოღიკა, ასეთია ის წაჯექ-უკუჯეობა იმ კანონისა, რომელსიც ფორალური მხრით აზრის ნიშანი არ ეტყობა და რომელსაც არავითარი სიმართლე სარჩულათ არ მოეპოვება. ეს მხოლო სახალხოთ და აშკარათ შესრულებული ყაჩაღობაა, რადგან აქ ორივე ნაწილი ხალხისა, ერისა იძარცვება მხოლოდ ახალი ბიუროკრატიის სასარგებლოთ. საშინელებაა!..

ახლა განვიხილოთ წესიერება იმ განცხადებისა, რომ მშრომელ ხალხს ვითომც ბევრი ფული მოეპოვება და იმისთვის საძნელო როდია, რომ ეს ფული მიწის სასყიდლათ გაიღოს და ღარიბი ხაზინა ღარიბი სახელმწიფოისა ამ ფულებით გამოავსოს, გაამდიოროს. ვნახოთ.

(გაგრძელება იქნება)

---

*) ეს ნაწილი ზოგიერთი შესწორებით, სათანადო ცვლილებით და დამატებით ამოღებულია მეორე პროექტიდან.

საპრ. კომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი. სოფლის, დემის სათავეში იდგა დემარხი, არჩეული ხალხის მიერ პირდაპირ ყოველ წლობით, რომელიც ასრულებდა არა მარტო ადგილობრივი სახალხო კრების დადგენილებებს, სადაც ის თავმჯდომარეობდა ყოველთვის. არამედ იგი იყო სახელმწიფოს წარმომადგენელიც ადგილობრივ. მისი საღუალებით ხალხი გადასცემდა სახელმწიფოს თავის აზრს და დადგენილებებს და მისივე საშუალებით სახელმწიფოს ჰქონდა ურთიერთობა ხალხთან.

,,ახალი პოლიტიკური ცხოვრება ამ უძველესი თემებისა ყოველთვის გამოცხადდებოდა მისი საშუალებითო'',—ამბობს ვუდრო ვილსონი.

ამნაირად დემი, ანუ თემი, თავისუფალი და დამოუკიდებელი, საფუძველი იყო ძველი ათინის რესპუბლიკისა.

ათი დემი შეადგენდა ერთ კავშირს, რომელსაც ,,ტრიბი'' ეწოდებოდა და ამნაირად მთელი სახელმწიფო წარმოადგენდა ამ დემთა კავშირს ტრიბების საშუალებით, ანუ მათ ფედერაციას.

ტრიბი განაგებდა კავშირის საერთო საქმეებს და მხედრობას, რომელიც სრულიად ადგილობრივ მართველობას ემორჩილებოდა და მის განკარგულებაში იყო.

ტრიბი ანუ ტომი ირჩევდა ფილორხს, ანუ მამასახლისს, რომელიც წინამძღვრობდა ცხენოსან ჯარს; ტაქსორხს,—ქვეითი ლაშქრის უფროს და სტრატეგს—მთელი შერაღეაული ძალების ხელმძღვანელს.

სახელმწიფოს სათავეში იდგა საბჭო 500 წევრისაგან შემდგარი, რომელსაც ირჩევდა ხალხი 5:ს თითო დემიდან. ნამდვილად საბჭო შესდგეიოდა სწორეთ თემთა წარმომადგენლებისაგან და მის ხელში იყო სახელმწიფოს უმაღლესი გამგებლობა მაგრამ ის მაინც არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ, სუვერენულ დაწესებულების, რადგან ყოველ მნიშვნელოვან საკითხში გადამწყვეტი როლი და უფლება ხალხის ხელში იყო და სახალხო კრებები ეკლესიები, სწყვეტდენ საკანონმდებლო საკითხებს.

პერკილის დროს ათინის კონსტიტუცია ატარებდა უკვე სავსებით დემოკრატიულ ხასიათის უმეტესი ნაწილი სახელმწიფო საქმეების მზადდებოდა ხუთასთა საბჭოში გადაეცემოდა სახალხო კრებას განსახილველად და გადასაწყვეტად. თავისი დადგენილებით იგი განაგებდა როგორც ადმინისტრატიულ ისე პოლიტიკურ საქმეებს.

ვუდრო ვილსონი ასე ახასიათებს ამ კრებებს:

„დღემდის ქვეყანას არ უნახავს მგონია, ისეთი თავისუფლება სიტყვისა და მოქმედებისა, როგორიც თან ახლდა გაცხოველებულ სახალხო კრებებს, როცა ირჩეოდა მიმდინარე საქმეებიო. ყოველ თავისუფალ ადამიანს შეეძლო ეთქვა, რაც სურდა და როგორც სურდა. ეს იყო სკოლა მჭერმეტყველებისა და ასპარეზი მოქმედებისათვისო“.

ეს ხანა—ხანა დემოკრატიული მართველობისა, იყო ათინის კულტურის და ძლიერების აყვავების ხანა. ისეთი ერთობა, ერთსულოვნება და სიძლიერე გამოიჩინა ამ პატარა დემოკრატიულმა რესპულიკამ, რომ გაუძლო 10 წლის ომებს და სასტიკად დაამარცხა იმ ხანად აღმოსავლეთში უძლიერესი ხალხი სპარსელები და საბოლოოდ გასდევნა ისინი, ევროპიდან და მცირე აზიიდან.

ამ ომმა კიდევ უფრო განამტკიცა დემოკრატიზმი ათინაში, რომელიც სათავეში ჩაუდგა მთელ ელადას და ბერძენთა ტომს.

ათინის რესპუბლიკა მით არის ღირსშესანიშნავი მაგალითი, რომ იგი განვითარდა სრულიად თავისუფლად, დამოუკიდებლად თავისი შინაგანი განვითარების პროცესში და მის შექმნაზე არა ჰქონია გავლენა არავითარ გარეშე ძალას.

ი. **ვარაზაშვილი.**

(შემდეგი იქნება).

ახალი ამბავი.

გაზეთ „ბორბის“ ცნობით სამშვიდობო კონფერენციაზე სამუდამოდ გადაწყდა, რომ ინგლისის ჯარს ამიერ-კავკასიაში შესცვლის იტალიის ჯარი, რომელიც უკვე გამზადებულია წამოსასვლელად რაადენიმე ტრანსპორტი.

შეკითხვა ინგლისის პარლამენტში საქართველოს შესახებ.

ინგლისის პარლამენტში დეპუტატმა კომანდორ კენვორტიმ შეკითხვა შეიტანა საქართველოსა და და ინგლისელთა შორის მტრულის მოქმედების შესახებ.

მას ჩერჩილმა უპასუხა, რომ ქართველ-ინგლისელთა შორის შეტაკებას ადგილი არ ჰქონია, ააგრამ საქმე ასე იყო: საქართველოს ჯარი თავს დაესხა დენიკინის ჯარს გაგრის სამხრეთის მხრით და იგი მდინარე მეხადირის ჩრდილოეთით განდევნა, ეს წინსვლა მოხდა მიუხედავად ბრიტანიის ჯარების სარდლის პროტესტისა. ქართველებთან ერთად მოქმედებდნენ ადგილობრივი ბრბოები და ბოლშევიკები. სამხედრო მოქმედება მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა ჩვენები დაემუქრნენ იქ ინგლისის ჯარის გაგზავნით. კენვორტი შეეკითხა: ჰყავს თუ არა საქართველოს რესპუბლიკას თავისი წარმომადგენლები პარიზის კონფერენციაზეო.

ჩერჩილმა ამაზე უპასუხა, რომ მე არ ვიცი ეს, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენ ნებას არ მივცემთ ქართველ ჯარს, დენიკინის ლაშქარზე თავს დასხმისასო.

ავღანისტანში.

ლონდონის მაისის 8 ოფიციალი ცნობის მიხედვით ავღანელების რაზმებმა, რომელთა შორის, როგორცა სჩანს, რეგულიარული ჯარის ნაწილებიც ურევია, გადალახეს ინდოეთის საზღვრები და რამდენიმე პუნქტი დაიპირეს, მდინრობის მიერ საწინააღმდეგო ზომებია მიღებული.

საბჭოთა ჯარები აღმოსავლეთ ფრონტზე წინ მიიწევენ.

პეტერბურგში აღმოაჩინეს დიდი შეთქმულება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. მონაწილენი დაატუსაღეს.

ლექათა კრებული. რედაქციამ მიიღო ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის გალაქტიონ ტაბიძის „ლექსთა კრებული'', რომელიც მშვენივრადა გამოცემული. ფასი 25 მან. ამ ლექსთმ კრებულის გარჩევას ცალკე მოვათავსებთ ჩვენს გაზეთში.

ორშაბათს საღამოს 7 საათზე ,,ახმლი ნაკადის'' რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა.

ქუთაისის ქალ. თვითმართველობის გამგეობას.

ქუთ. თვითმართველობის მოსამსახურეთა და მუშათა პროფესიონალური კავშირის 11 ივნისის საზოგადო კრების დადგენილება:

1) საზოგადო კრებამ მოისმინა მოხსენება გაფიცვის კომიტეტის და გამგეობის „კავშირის“ შესახებ ჯამაგირების გადიდებისა და აგრეთვე წაკითხული იქმნა მუხლობრივ გასარჩევათ 9 ივნისის ,ქალაქის საბჭოს სხდომაზე გამოტანილი რეზოლიუცია, რომელიც ამბობს, რომ თვითეული მოსამსახურეს მოემატება ჯამაგირი და ამავე დროს საბჭო არ ადგენს რაოდენობას ჯამაგირის მომატებისას. მიუხედავათ იმისა, რომ ამავე კრების მიერ ულტიმატივი იყო წაყენებული ნორმაც შემუშავებული და თუ არ დააკმაყოფილებდა მოსამსახურეთა და მუშათა მოთხოვნილებას ისე, როგორც ეს იყო წაყენებული. გაფიცვის კომიტეტს უნდა გამოეცხადებია გაფიცვა 18 ივნისს. საზოგადო კრებამ ვერ სცნო დამაკმაყოფილებლად ქალაქის საბჭოს დადგენილება და 11 ივნისს ცხადდება გაფიცვა, მხოლოდ რადგანაც საავათმყოფო იმყოფება განსაკუთრებულ პირობებში, რათა გაფიცვით ბევრი უდანაშაულო ავათმყოფები გახდება მსხვრპლად მოსამზახურეთა და მუშათა ეკონომიურ პირობების გაუმჯობესობისა, ამიტომ ფაქტიურად გაფიცვა გადაიდო 6 ივნისიდან 24 ივნისამდის, რათა ქალაქის გამგეობას და საბჭოს კიდევ მიეცეს საშუალება, რათა უკონფლიკტოთ დაკმაყოფილოს მოსამსახურეების და მუშების მოთხოვნილება, მხოლოდ თუ 24 ივნისს ამა წლისა მოთხოვნილება არ იქნა საესებით დაკმაყოფილებული, იმ შემთხვევაში კავშირი იხსნის თავიდან ყველივე პასუხის მგებლობას ავათმყოფების წინაშე, აგრეთვე ყოველივე დეფექტებში და 25 ივნისს ცხადდება საერთო გაფიცვა განურჩევლად დარგისა.

2) საზოგადო კრებამ მიაქცია ყურადღება მოსალოდნელი შტატების შემკირებას, როაელიც გამოწვეულია კავშირის მოთხოვნილების წიმოყენებით და დაადგინა; რადგანაც შტატის შემცირება ხდება ულტიმატუმის და გაფიცვის პროცესში და ის მუშები, რომელშიც დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდან მონაწილენი არიან „ბედნიერებისა“, რომელსაც მიახწევენ დარჩენილი მოსამსახურეები და მუშები, ამიტომ საზოგადო კრება მწუხარებით აღნიშნავს ამ გარემოებას და ადგენს: არც ერთი მოსამსახურე და მუშა არ იქნეს დათხოვნილი ადგილიდან, მანამდის, სანამ არ დაკმაყოფილდება ყველა მუშების და მოსამსახურეების მოთხოვნილებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გაფიცვა გამოცხადდეს იმ დღესვე რა დღესაც დათხოვნილი იქნება მუშა და მოსამსახურე და გაგრძელდება გაფიცვა მანამდის, სანამ არ დამთავრდება სრული დამარცხებით ან გაეარჯვებით.

3) კავშირი არავითარ მფარველობას არ უწევს ქურდებს და ავაზაკებს და სურვილსაც გამოსთქვამს დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნას ისინი, რაშიაც კავშირი დიდ დახმარებას გაუწევს მათ აღმოჩენაში.

5) ასლი ამ დადგენილებისს იგზავნება საქართველოს რესპულიკაში არსებულ რედაქციებში.

დემოკრატიული კლუბი.

შაბათს, 14 ივნის 1919 წელს დემოკრატიულ კლუბში ახლათ დაარსებულმა თბილისის კვანძის კულტურულ-გამნათლებელ კომისიასთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მართველმა წრემ დასდგა მსახიობ ვასო არაბიძის რეჟისორობით და მონაწილეობით ცნობილი კომედია ,,ციმბირელი''. უნდა სიმართლე ითქვას, რომ დემოკრატიულ კლუბს კარგა ხანია არ უნახავს ასეთი მწყობრი წარმოდგენა, როგორიც იყო ,,ციმბირელი''.

რაც შეეხება მოთამაშეებს, კარგი იყო ივანე ციმბირელის როლში მსახიობი ვასო არაბიძე, რომელმაც სავსებით გადმოგვცა მრავალ-ტანჯულ უდანაშაულოდ დასჯილი ციმბირელ ვანუას სულისკვეთება და მაყურებელშიაც ბევრი ცრემლი გამოიწვია.

კარგი იყო აგრეთვე მსახიობი პავლიაშვილი სტეფონ ბაღდანიჩის როლში. არაუშავდა რა აგრეთვე ლეკიშვილს სტეფან მაკარიჩის როლში. ნიკოლას როლში დიამონდოპულოს გვარიანი იყო. ციმბირელ ვანუას ცოლის როლში გოგოლაშპილისას არაუშავდა რა. ხოლო ვარუას როლში წივწივაძისა ძლიერ სუსტი იყო. არ იყო აგრეთვე თავის ადგილას, მთელი პიესის გამამაცოცხლებელი პეტუას როლში ლაპერაშვილი. მან სავსებით ვერ გადმოსცა მაყურებლებს გიჟ-მაჟი პეტუა. კარგები იყვნენ მოსამსახურე მაშუას როლში კაპანაძისა და ნარგაზას როლში კუდუხაშვილისა, რომლებმაც ნათლათ დაგვიხატეს; პირველმა მხიარული და ეშმაკი მოსამსახურე გოგოს როლი, ხოლო მეორემ პატიოსანი და კეთილი აარგიზას როლი. არაუშავდა რა აგრეთვე იპოლიტ იპოლიტოვიჩის როლში არონიშიძეს. ამ დღეს სცენას ეტყობოდა გამოცდილი რეჟისორის ხელი, სცენები მშვენივრათ იყო მორთული სხვადასხვა მდიდარ რეკვიზიტებითა, რაიც სხვა დროს დემოკრატიულ კლუბს არ უნახავს. ეტყობა რომ როგორც რეჟისორ არაბიძეს აგრეთვე სცენისმოყვარეებს და წრის გამგეობას არ დაუზოგნიათ თავიანთი შრომა.

დასასრულ არ შემიძლიან არ ავღნიშნო ერთი სამწუხარო მოვლენა იმისდა მიხედვით, რომ აფიშებში გამოცხადებული იყო დასაწყისი საღამოს 8-ნახევარ საათზე, დემოკრატიულ კლუბის საზოგადოება მაინც 10 საათზე მობოძანცა და 1 მოქმედებაში მთელ კლუბში აურზაური ასტეხა. რაიც საშინლად ხელს უშლიდა პიესის მთლიან შთაბეჭდილებას, შეიძლება ეს იმის გამო ხდებოდეს რომ საზოგადოება თვით დემოკრატიულ კლუბმა დააჩვია, რადგანაც წინანდელი წარმოდგენები გამოცხადებული იყო ხოლმე დასაწყისი საღამოს 8 საათზე, მაგრამ საუბედუროდ იწყებოდა 10 საათზე. იმედია ახალი წრე წარმოდგენებს დროზე დაიწყებს ხოლმე და წარმოდგენის დაწყობის შემდეგ თეატრის დარბაზში არავის არ შეუშვებენ.

გარდა ამისა მე მგონია კლუბის გამგეობას შეუძლიან გამოიტანოს ისეთი დადგენილება რომ პატივცემულ საზოგადოებამ ბევრი თხილის ქამით თეატრის დარბაზი ნაგვის ყუთათ არ გადააქციონ ხოლმე და მერმე იმ ნაჭუჭებზე სიარულით მოქმედების დროს ლაწი-ლუწი არ ააყენოს ხოლმე. ხალხი ცოტა დაესწრო. წარმოდგენა გათავდა საღმის 12 საათზე.

ბარიკი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ახალ ნაკადის“ საშუალებით მოვათავსო შემდეგი განცხადება ქ. ქუთაისის კომუნისტთა (ბოლშევიკების) პარტიის კომიტეტის საყურადღებოთ:

იმ ხმების გამო, რომელსაც ზოგიეოთი ახალგამოჩეკილი „კომუნისტები“ ჩემს წინაღმდეგ ავრცელებთენ და დღესაც ავრცელებენ (მით უმეტეს დუქანდუქან) ვითომდა მე პარტიის ქონება სადღაც ,,გამექროს''—ასეთ ჭორიკანობას მათის მხრით ვხსნის საქმის გაუგებრობით და პარტიულ [illegible] ინარობა [illegible] იმის ქუჩაში გამომზეურება, რაც პარტიაში კეთდებოდა და ეხლაც კეთდება ყველა პარტიის წევრისათვის დიდ დანაშაულათ უნდა ჩაითვალოს; ისიც ჩვენ მოსისხლე მტრებთან—მენშევიკებთან და სხვა ჯურის ნაციონალისღებთან.

რამოდენიმე თვის წინეთ მე მივმართე ერთ-ერთ ჩვენს ამხანაგს პარტიის წევრს, რომელსაც სუყველანი კარგათ ვიცნობთ (წინეთ კომიტეტის წევრიც იყო) და ვსთხოვე ეს ,,ბრალდება'' დაეყენებია კომიტეტის სხდომაზე და საქმე გაერჩიათ, ხოლო მე კი, როგორც ,,ბრალდებული'' ვთხოულობდი საქმის გარჩევის დროს იქ დასწრებას. მართლაც ჩემი თხოვნა მას პირნათლათ შეესრულებია და ყველანი დათანხმებულიყვნენ, ხოლო სანამ ჩემს პარტიულ საწევრო ბარათს არ წარვადგენდი წინდაწინ მანამდე კი საქმეს ვერ გაარჩევდენ.

მე ამის საწინააღმდეგო აბა რა უნდა მქონოდა, მაგრამ მაჭინაც ვუპასუხე იმ პატივცემულ ამხანაგს და ეხლაც ვაცხადებ, რომ საწევრო ბარათი და მასთან ვლადიკავკაკის ფული (53 მ.) ჩემდა საუბედუროდ, სადღა დავკარგე-თქო. ჩემ მიერ მიცემული პასუხის შემდეგ მისგნით ვერაფერი შევიტყე, თუმცა მითხრა, რომ მე ყოველივეს ამხანაგებს გადავსცემ და შემდეგ შეგატყობინებო. განვლო რამდენიმე ხანმა და ეხლა კი სხვა ამხანაგებს მივმართე და ვსთხოვე, რომ ამ საქმეა ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოღებოდა და გამოერკვიათ მდგომარეობა, მაგრამ არც ახლა გამიმართლა იმედებმა,

მე კიდევ იმეოი მქონდა და ვფიქრობდი, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც ქ. ქუთაისის კომუნისტების პარტიის კომიტეტი მიაქცევდა ყურადღებას—საქმეს გაარჩევდა და გამომიყვანდა უხერხულ მდგომარეობიდან, მაგრამ, რადგანაც უკვე კარგა ხანმა განვლო და ამ საქმეს ბოლო არ უჩანს, ეხლა იძულებული ვარ ხელმეორეთ ოფიციალურათ თხოვნით მივმართო ზემოდასახელებულ პარტიის კომიტეტს, რომ გაარჩიოს ჩემი ,,ბრალდება'' და ამით საშუალება მომეცეს ჩემი სიმართლე აღვადგინო.

რაც შეეხება საწევრო ბარათს, უნდა მოგახსენოთ, რომ საწევრო ბარათის დაკარგვა პირველი მაგალითი არ არის, ხოლო თუ ეპვი გეპარებათ ჩემი არა პარტიის წევრობისა—მაშინ კეთილ ინებეთ და ნახეთ 1917 წლის სარეგისტრაციო წიგნი პირველ გვერდზე, ბარათის ნომერი 24 (როგორც მახსოვს).

პატივისცემით **ჰ. მ—ძე.**

ქ. ქუთაისი.

1919 წ. 10 ივნისი.

რედაქტორ-გამომცემელი.

სარედაქციო-კოლეგი

სტამბა ქართულ ბეჭდვითი ამხანაგბის“ გოლოვინის ქუჩ., ტელ. 4—73.